# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 26.—1914 ფასი 10 კ. კვირა, 31 აგვისტო.



ფერდინანდ ლასსალი

სახელგანთქმული ფილოსოფოს-მწერალი და საზოგადო მოღვაწე

## № 26

## შინაარსი:


1. სადღესასწაულო სეზონი, მეთაური 1
2. ქართ. დრ. საზ. გამგეობის დასის შეკრების 1-ლი დღე, შიტასი 2
3. ჩვენი თეატრი გადასაკეთებელია, თავისუფალ მეთვალყურისა 3
4. რკალები—მოწყვეტილი ხმალი, აკაკი პაპავასი 4
5. „ილოცე, დენის, ილოცე“, დავ. კილდისანიძისა 5
6. ქალო საწყალო ლექსი, მ. ველის-ციხელისა 6
7. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, ალ. წერეთლისა „
8. ცხოვრება (გაგრძელება), ს. გლახა-შვილისა 7
9. ლადო აღნიაშვილი (გაგრძელება), ალ. მირიანაშვილისა 11
10. მზრუნავი ღვთაება, არ. მექანარის-შვილისა 12
11. დედის მკვლელი (მოთხრობა), ევ. ფურცხვანიძისა 13
12. კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი თბილისში, ს.-ნისა 15
13. წვრილი ამბები; შარჟები; სურათები.



თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგა-დოების გამგეობა აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს თეატრთან მოაწყოს სპეცია-ლისტების ხელმძღვანელობით

**სამეცადინო პრაქტიკული სტუდია**

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვსთ, ჩაეწერნენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბრამდე. **სწავლა უფასო იქნება.** პირობების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე. წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქმნეს დრ. საზ. კანტორაში.

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა *ივანე მაჩაბლის* თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ *შექსპირის* რვა ტრაღედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსდგომა**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს. წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**

# თეატრი და ცხოვრება

№ 26

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატის კანტორაში—დილით 9—2 ს., სარღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-9, სტამბისა — 15-41.

№ 26 — კვირა 31 აგვისტო — 1914 წ.


## 31 აგვისტო

**სადღესასწაულო სეზონი**

ოცდახუთმეტი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი დრამატიული საზოგადოება მოქმედობს. დაარსების დღიდან ამ საზოგადოებას სათავეში ედგნენ ჩვენის ქვეყნის სახელგანთქმულნი შვილნი, რომელთაც თვისი შორგამჭვრეტელობით adრევე შეიგნეს დიადი მნიშვნელობა ეროვნულის თეატრისა, საძირკველი ჩაუყარეს და მის განმტკიცებას მხნედ შეუდგნენ. ამავე დღიდან აღმოუჩნდენ ჩვენს სცენას ნიჭიერნი, თავგამოდებულნი, მამულის სიყვარულით აღფრთოვანებულნი მსახიობნი, რომელნიც გაჭირება-დალხინების მიუხედავად, მუდამ ერთგულად ღვდელმსახურებდენ სამშობლო სცენის საკურთხეველში... განვლილ გამგეობათა ზოგიერთ წევრთა და მსახიობ-ქურუმთ თვისი ძალ-ღონე სამშობლო სცენას მიუძღვნეს, რომ იგი სასურველ დონემდე აეყვანათ .. და ჩვენმა თეატრმაც არა-ჩვეულებრივი საქმენი მოიქმედა: ჰქმნა ის, რაც ვერ შესძლო ეკლესიამ, სკოლამა და ოჯახმა,—მან შეიტანა ქართველ ხალხში თვითცნობიერება, გრძნობა-გონებით გააფაქიზა, ჩაახედა წარსულში, აწმყოს ესარკევა და მომავალის იდეალები დაუსახა.

ქართველი მსახიობი დღემდე უმეტესად ნარ-ეკლიანი გზით ვიდოდა, მაგრამ იგი მუდამ მოქალაქე-მქადაგებელი იყო უკეთეს მისწრაფებათა, აღმზრდელი და მწრთვნელი თანამემამულეთა...

ასევე იყო ბევრი გამგეობის წევრი—პირადი შრომის გარდა, ნივთიერადაც ეხმარებოდა საქმეს, და ორივე—გამგეობა და დასი—ავად თუ კარგად, ცდილობდენ არ ჩაექროთ წმიდა ცეცხლი იმ კერაში, რომელიც მარადის ჩვენს ზეამაღლებას ემსახურებოდა...

ამ 35 წლის წინად თითქმის „არარაისგან“ შეიქმნა მუდმივი დასი, უცნობთ უცებ მიიპყრეს საყოველთაო ყურადღება, დაიმსახურეს სიყვარული და ქვეყნის მადლობა. დღეს, ამ 35 წლის თავს, როდესაც ჩვენს დრამ. საზ. გამგეობას რჩეულნი პირნი მესვეურობენ და დასიც თითქმის ახალგაზრდებისაგან შესდგება, ჰმართებთ მოიგონონ ქირვაებაში გამოვლილი ღვაწლმოსილი დღენი ჩვენის სცენის წარსულისა, მის ქურუმთა ნამოღვაწევი, და მით აღფრთოვანებულნი შეუდგნენ საქმეს... წრევანდელი სეზონი ჯამი უნდა იყოს წარსულისა... და რამდენად ბეჯითად წარმართვენ მდგომარე სეზონს, იმდენად უფრო ღირსეულად იდღესასწაულებენ წარსულის ღვაწლს. წინა თაობის ნაღვაწი მადლობით მოვიხსენიოთ, ხოლო იმავე დროს ახალი გზის ძიებას ნუ მოვშლით .. აწინდელმა გამგეობამ უნდა დაამტკიცოს, რაოდენად ღირსეული მოადგილეა სახელოვან გამგეობათა; დასმაც - ახალმა თაობამ—ქვეყანას უნდა უჩვენოს, რომ არც იგია უღირსი მემკვიდრე სცენის მხრით სახელოვან წინაპართა.

დაე, მუდმივამც ღვიოდეს ცეცხლი იმა ღვთიურ კერაში, რომელიც გამოაშუქებს მადლსა სიყვარულისა, თვითცნობიერებისა და გაადამიანებისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართ. დრ. საზ. გამგეობისა და დასის შეკრების 1-ლი დღე

სამშაბათს, 25 აგვისტოს, ქართ. თეატრის ფოიეში შეიკრიბნენ დრ. საზ. გამგეობის წევრნი თავ. პ. ი. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით და სეზონში მოწვეული ყველა მსახიობნი. გამგეობის წევრთაგან დაესწრენ: თავ. ი. ა. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, დ. დუმბაძე, შ. მესხიშვილი, შ. მიქელაძე; დამსახურებულ მსახიობთაგან: ვ. აბაშიძე, ეფ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, რეჟისორნი: მ. ქორელი, ა. წუწუნავა და მთელი ახალგაზდობა (დასი). კრება ფრიად აღფრთოვანებული და ბევრ იმედის მომცემი იყო. ეტყობოდა კრების დამსწრეთ კარგად გაეთვალისწინებინათ ის საქმე, რისთვისაც შეკრებილიყვნენ. მსახიობთ პირველად მიესალმა გამ. წევრი ბ-ნი **შ. მესხიშვილი**, რომელმაც სთქვა—ძნელი პირობები შეიქმნა, დასი/კ უმეტესად ახალგაზდებისგანაა შემდგარი, მაგრამ ეს საშიში არ არის, რადგანაც ძალა და მომავალი ახალგაზდობაშია, და თუ ამ ძალას შეგნებით, მუყაითად ავამუშავებთ, მე მწამს ღელოსაც გავიტანთო. ქართული სცენა დიდი ეროვნული დაწესებულებაა და მის ამაღლება—დაწინაურებას საერთო ძალღონით უნდა შევეცადნეთ. თანამედროვე სათეატრო ხელოვნებაში რომელიმე კერძო არტისტის პიროვნებას იმოდენა მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ახლა განსაკუთრებით ანსაბლის შექმნას უნდა ვცდილობდეთ. ამითი მსახიობის პიროვნება—ნიჭი სრულიად არა მცირდება. ყოველივე ჩვენგანი ღირსი უნდა იყოს ემსახუროს იმ დიდებულ ეროვნულ საქმეს, როგორიც ქართული თეატრია. თეატრის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებისათვის კი საჭიროა დავივიწყოთ და მოვსპოთ ის უსიამოვნო მოვლენანი, რომელსაც თქვენ ჩემზე კარგად იცნობთ: არ უნდა ჰქონდეს ადგილი შურს, მტრობას, პირადი თავმოყვარეობის საერთო საქმეზე მაღლა დაყენებას. დროა ქართველი არტისტი შეგნებულ პიროვნებად გარდაიქცეს და უფრო ინტელიგენტურად მოეკიდოს საქმესო. მეორე სიტყვა წარმოსთქვა გამ. წევრ. თავ. **ი. ა. ბარათაშვილმა** და მოკლედ დაახასიათა ქარ. თეატრის დიადი მნიშვნელობა. ჩვენის ცხოვრების—წარსულის, აწმყოს და მომავალის—სარკე ჩვენი სამშობლო სცენაა, ქართული თეატრი; იგია ერთად-ერთი წმიდა ტაძარი, სადაც თავისუფლად განისმის ქართული ენა, პიროვნება შეზღუდული არ არის და თვითეულს თქვენგანს თავისუფლად შეუძლიან ფართოდ გაშალოს თავისი ნიჭი და ძალა.

შემდეგ რეჟისორმა **ალ. წუწუნავამ** მიჰმართა დასს: ისა სჯობია მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასო. თუმცა ზოგიერთი „ძველთაგანი“ მტრულის თვალით გვიყურებენ ახალგაზდებს, მაგრამ მათ შორის არიან ისეთნიც, რომელნიც ახალ ძალებს გულწრფელად შეჰხარიან. ჩვენი თეატრი ერთ ადგილზეა გაყინულ-შეჩერებული, საჭიროა მისი ახალ გზაზე გამოყვანა და ამას—ჩვენგან—ახალგაზდათაგან მოელიან. ჩვენ უნდა შევქმნათ ქართული ეროვნული თეატრი, გარკვეული სახისა, საკუთარი გზის მქონე. და ეს მაშინ შეიძლება, როცა მსახიობნი ხელოსანნი კი არ იქნებით, არამედ ნამდვილნი ხელოვანნი... თეატრში მხოლოდ პირადი მიზნისთვის კი არ ივლით, არამედ ხელოვნების სასამსახუროდ... მუშაობა თქვენი უნდა იყოს წმიდა, ვით მღვდელ-მსახურება, ლოცვა სასოებითი, უმწიკვლო, ზეაღმამფრენი... ჩვენ თანასწორი ამხანაგები ვართ, ერთი საქმის მუშაკნი, ყველას ამხანაგაგურად მოვეპყრობი სცენის გარედ, მაგრამ სცენაზე, მუშაობის დროს უწესოებას არავის ვაპატიებ, ვინც უნდა იყოს... სცენის საქმე პარტიის გარეშე უნდა იდგეს, თუ გვინდა ხელოვნების უმაღლეს დანიშნულების წმინდათ შესრულებაო. ამის შემდეგ **იოსებ იმედაშვილმა** მოკლედ დაახასიათა გამგეობისა და დასის ურთიერთობა. კარგა ხანია ჩვენს საზოგადო, განსაკუთრებით თეატრის, საქმეებს თვალყურს ვადევნებ და თითქმის ყოველთვის ერთი რამ შემინიშნავსო: საქმის დასაწყისში მშვენიერი სიტყვების წარმოთქმა, მერე-კი გულგრილობა. ვისურვებ ამ დარბაზში წარმოთქმული მშვენიერი სიტყვები უშედეგოდ არ დარჩენილიყოს. მით უმეტეს ვნატრობ ამას, რომ ჩვენის გამგეობისა და დასის ურთიერთობას მუდამ ერთი ნაკლი აედევნება ხოლმე—ნივთიერი გაჭირვება, რომელიც შუა სეზონში თარის მოშვებული სიმივით გაიჟღავლებს ხოლმე; ეს გარემოება—ჯამაგირების დროზე მიუცემლობა ერთის მხრით მსახიობთ უკარგავს მუშაობის ხალისს, მეორეთ - გამგეობის წევრთ აგულძმარებს და ძვირფასი დრო, რომელიც ხელოვნების დინჯ, მუყაით სამსახურს უნდა უნდებოდეს, ფულის შოვნის, ჯამაგირის მიღების ფიქრში მიდის... ასეთ მდგომარეობაში მსახიობი არა თუ პიესის წაკითხვასა და ანსაბლზე ფიქრობს, როლიც ვერ წაუკითხავს. მსახიობი სულიერად დამშვიდებული უნდა იყოს, რომ მისმა შემოქმედებამაც ფრთა გაშალოს. ანდა მუდამ უფულობით შეწუხებულ გამგეობას სად შეუძლიან რიგიან რეპერტუარისა და ანსაბლით მოწყობილ წარმოდგენაზე იფიქროს? თავი და თავი ისაა გამგეობასა და მსახიობთ შორის იყოს კეთილ-განწყობილება, სრული შეთანხმება, ასე ვსთქვათ **ანსაბლი**, რომ სცენაზედაც იგივე შეიქმნას. მეორე მხრით—ქართველმა მსახიობმა უნდა იცოდეს, რომ იგი მხოლოდ ხელოსანი - აქტიორი, ლუკმა-პურის მაძიებელი არ არის, როგორც უმეტეს შემთხვევაში სხვათა სცენაზეა: არა, იგი საეროვნო საქმის მუშაკია, საზოგადო მოღვაწე, და ამიტომ მთელი თვისი არსებით უნდა ემსახუროს სცენასა და ხელოვნებას არ უღალატოს. გამგეობასა და დასს ჰმართებს ურთიერთის ხელის შეწყობა, თავგამოდებული მუშაობა და მით ჩვენის თეატრის საქმეც უკედ მოეწყობა. უმთავრესია—გამგეობამ მსახიობნი

ნივთიერად უზრუნველჰყოს და მუშაობაც მოსთხოვოს, მსახიობთ კეთილსინდისიერად აღასრულონ თვისი მოვალეობა, და შრომის ჯილდო და პატივისცემაც მიიწყონ.

საუბრის შემდეგ მსახიობთ მოართვეს ჩაი, ხილი და შამპანიური. მეგობრულ ნადიმზე **გამგეობის თავმჯდომარემ თავ. პავ. იოს. თუმანიშვილმა** მეტად გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. მოკლედ ახსნა, რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სათეატრო ხელოვნებასა და მის მსახურს—მსახიობს. დიდი და პატარა როლი არ არსებობს: კარგ მსახიობს შეუძლიან სულ უმნიშვნელო როლიც-კი დიდათ გამოაჩინოს ნიჭიერის შესრულებითო. თქვენი მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს შეთანხმებული მუშაობით შეჰქმნათ მთლიანი სურათი, რომ სათანადო შთაბეჭდილება მოახდინოთო. მსახიობთა ნივთიერი მხარეც, რასაც იოსებ იმედაშვილი შეეხო, მოწესრიგდება და ყოველი მსახიობი კუთვნილს თავის დროზე მიიღებს: სიტყვას გაძლევთ ამ მხრით უზრუნველ-ყოფილ იქნებით და გაჭირვებას აღარ განიცადოთო. დღემდე შორს ყოფნის გამო საქმისთვის ეგოდენი არაფერი მირგია, მაგრამ დღეის შემდეგ ვეცდები ჩემი ცოდნა და ძალ-ღონე სამშობლო სცენის წარმატებას შევსწიროო. თქვენცა გთხოვთ, გულწრფელად, ამხანაგურად, ძმურად ხელიხელ ჩაკიდებული იმუშაოთ და ყოველ-გვარ შინაურ უთანხმოებას, თუ დაიბადება, შინვე მოუღოთ ბოლოო: ამიტომ საჭიროა, ყოველ მიზეზის გამოსარკვევად გამგეობასთან იქონიოთ საქმეო. თავ. პ. ი. თუმანიშვილის სიტყვას აღტაცებულის ტაშის ცემით შეეგებნენ. ამ სიტყვამ ყველას გული სასოებით აღუვსო და მტკიცე რწმენა ჩაუნერგა.

**ჭიტა**

# ჩვენი თეატრი გადასაკეთებელია

როგორც წინა წერილში ვსთქვით („თ. და ც." № 25), ჩვენი თეატრი უნდა გადაკეთდეს და, რაც შეიძლება, დროით.

. თეატრის პატრონად თავად-აზნაურობა ითვლება, მაგრამ ვითარცა საერო დაწესებულება, განურჩევლად წოდებისა, იგი მთელს ქართველობას ეკუთვნის. თვითონ პატრონიც ხომ მთელს თავის ქონებას ამ თვალით უცქერის, რადგან თუ საიდანმე რამ შემოსავალი აქვს, იმ შემოსავლით ისევ საზოგადო, ყველა წოდებისთვის სასარგებლო საქმეებს ახმარებს. ეს ისე ცხადია ყველასთვის, რომ მტკიცება, მგონია, არ ესაჭიროება. დიად იგი თეატრის პატრონია და იმდენად, რამდენადაც სრულ უფლებით ადჭურვილ იურიდიულ პირისაგან პატრონობა ესაჭიროება, მოხმარებით კი იგი საზოგადოა, საერო და ამიტომაც ყველა გონიერი ქართველისაგან ამ თეატრზე ზრუნვა და დახმარება გადიდებულებითი საქმეა, მით უფრო, რომ მისს იურიდიულს პატრონს იმაზე უკვე დიდი ფული აქვს დახარჯული და კვლავ, როდესაც უამისოდაც მრავალი სხვა, ისევ საზოგადო თვისების საქმე აქვს საზრუნავი და ხარჯის გასაწევი, თეატრის ხელახლად გადაკეთების დახარჯვას ვეღარ მოვთხოვთ. ეს ხარჯი სხვა საზოგადო დაწესებულებას უნდა მოვთხოვოთ და სწორედ იმას, ვინც ამ თეატრით უფრო სარგებლობს.

ეს დაწესებულება არის „ახალი კლუბი". სწორედ იმან უნდა იკისროს ხსენებული გადაკეთება, ჯერ იმ საბუთით, რომ ეს მისთვის სასარგებლო იქნება—შემოსავალს მეტს მისცემს, მოსულ დასებში მეტს მუშტარს გაუჩენს, და მერე კიდევ იმიტომაც, რომ ზნეობრივად არის იგი ამის მოვალე: ქართველი საზოგადოების გონიერს ნაწილს მისგან გულის მოგება ესაჭიროება და აი რა მიზეზით.

კარგად გვახსოვს, რომ „ახალი კლუბის" მოთავე-დამფუძნებელთ აზრად ჰქონდათ—მარტო სახელით კი არა, „სახრავითაც" მართლა ახალი კლუბი დაეარსებინათ, ისეთი, რომ ქართველებს ერთმანერთის გაცნობით და აზრების გაზიარებით შესძლებოდათ დაქსაქსულობიდამ ეხსნათ თავი და საზოგადოობრივ ცხოვრებას შესდგომოდნენ. იქ ყველა შექცევა გონივრული უნდა ყოფილიყო: რეფერატები, ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები და სხვა. სულ ქართულად, ქართველებისთვის. ხოლო რასაც „დროს გატარებას" ეძახიან, ისიც ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ქართველის ზნისა და ჯიბისათვის არა ევნოსა. ერთი სიტყვით ახალი კლუბი უნდა ყოფილიყო ქართველისათვის ყოველმხრივ სასარგებლო დაწესებულება, მართლა ახალი ტიპის კლუბი. ნამდვილად კი ჩვეულებრივი კლუბი გაიხსნა—ლოტო-ბანქოთი, სათამაშოთ და დროისა და ფულის ამაო ფლანგვით. ამ კლუბში ქართველი, თავის დაუდევარი თვისების გადამკიდე, უფრო ადვილად იფლანგება, უფრო გაქსოვებულ ცხოვრებას ეჩვევა და უფრო მეტად უსაქმურდება. ვინც იმ თავითვე ესეთია, თავის უსაქმური და მფლანგავი ცხოვრება დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგრძოს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ გზაზე სიარულს ისიც კი იწყობს, ვინც უამკლუბოდ სხვა კლუბში თავის სიცოცხლეშიაც არ შევიდოდა... კლუბი კი მდიდრდება... და რომ წინად დასაზრული მისი გზიდამ გადახვევა რითიმე გაამართლოს, კარგს იზამს **ქართველების ჯიბიდამ მოგროვილი ფულის ნაწილით თეატრი ნამდვილ თეატრად გადააკეთოს**; ეს არც ძნელია მისთვის, მასთან სასახელო და სასარგებლოც არის; გადაკეთებაზე დახარჯულ ფულს ოთხ-ხუთ წელიწადში იმავე თეატრით აინაზღაურებს და უმადურ ქართველობასაც შეირიგებს.

**თავისუფალი მეთვალყურე**

# რკალები

**„მოწყვეტილი ხმალი"**

ჩემი რწმენით, ხელოვნების დარგთა შორის ქანდაკება უფრო სახიფათო და საბედისწერო შემოქმედისათვის.

თუ სხვა სახით საძნელოა ხელოვანის გამარჯვება, მით უმეტეს აქ იგი სიძნელე გასკეცებულია და ხშირად შემოქმედება კატასტროფით თავდება.

მოქანდაკე მოკლებულია სიტყვასა, ჭანგებს, ფერადებს და სხვ., რაც აუცილებელია შემოქმედის განცდათა სისწორით გადმოსაცემად. როცა ხელოვანი რაიმე სხვა სახით (გარეშე ქანდაკებისა) ავარჯიშებს შემოქმედ ფანტაზიას, იგი შებოჭილი არ არის, მას შეუძლია, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, განავითაროს, შეაზავოს სიტყვები, საღებავები, ჭანგები; თუმცა ასეთი განვითარება ხშირად სახიფათოა მისთვის... ჩვენ ყველაზე უფრო განვიცდით ამგვარ „განვითარება-გაზვიადების" ნაყოფს. ქართველი ხელოვანი, ფრიად მოკლებულია ეკონომიას ტეხნიკურ სფეროში, რაიც საშინლად ასუსტებს შთაბეჭდილებას.

მაგრამ ქანდაკება შედარებით უფრო საზღვარ დადებული და შებოჭილია ამ მხრით მოქანდაკეს სიტყვა, ჭანგები და საღებავები მარმარილოს ჭრაშია დატყვევებული. გარდა ამისა, მუსიკა და პოეზია, ასე ვსთქვათ, მოძრავი ხელოვნებაა, რომელიც მრავალ მომენტს იმწყვდევს თავის სფეროში, ანვითარებს და ბუნებრივად გადადის ერთიდან მეორეში. ამიტომ მათ თავიდანვე თავისი ასპარეზი დაუთმო სცენამ, როგორც მოძრაობის განვითარების სარკემ.

ამგვარ მოძრაობას (გარეგნულად სახულს) მოწყვეტილია ქანდაკება და რამდენიმედ მხატვრობაც.

აქ აღებულია ერთი მომენტი სიცოცხლის აზრისა, სინამდვილის ერთი ნაკვთი და ამ მომენტში უნდა გაშალოს მოქანდაკემ სინამდვილის მსვლელობა, სიცოცხლის მოძრაობა; გაქვავებაში მან მუდმივი აქტიობა უნდა ასახოს.

ქანდაკებაში მან უნდა გაშალოს ტრაგედიის შიგნითი სახე, ეპოქის პიროვნების ტრაგიკული იერი, ასე ვსთქვათ, მისი სული. ამიტომ ეს დარგი სხვაზე უფრო საძნელოა და, ალბად, ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ ჩვენში ქანდაკება სრულიად ფეხ-აუდგმელია და მკრთალი.

ერთად-ერთი ყურადღების ღირსი მოქანდაკე ჩვენში უნდა იყოს ბ-ნი ი. ნიკოლაძე, მე არ შეუდგები აქ მის შემოქმედებათა გარჩევას, რადგან ამაზე სხვებიც შეჩერებულან. არც იმას ვეხები, თუ რა ძნელ პირობებში უხდება მას მუშაობა, როგორც ქართველ მოქანდაკეს.

ჩვენთვის საინტერესოა ერთი ძლიერი ნაკვთი მისი შემოქმედებისა, რომელიც ჯერ აღუნიშნავი დარჩა.

მოგახსენებთ პოეტ გრ. ორბელიანის ძეგლის მოდელზე. იგი მინიატიურულია თავის თავად და არც ის ვიცი რამდენად დაიცავს ამ ტონს და სულისკვეთებას მოქანდაკე თვითონ ძეგლის შექმნისას; მაგრამ აშკარაა, რომ მოდელი, მეტი რომ არ ვსთქვათ, შესანიშნავად შეუსრულებია ბ-ნ ნიკოლაძეს. გრ. ორბელიანი დიდი ხნით მაინტერესებდა მე და მისი ბუმბერაზი სახე ხანდისხან დიად გადამეშლებოდა თვალწინ, როცა მის მკვეთრ, ტყვიასებრ მძიმე სევდიანობით დატვირთულ ლექსებს გადავიკითხავდი; მაგრამ იგი უმალ ქრებოდა და წყვდიადს ეფარებოდა. მე დავეძებდი მას, მაგრამ იგი არსად ჩნდა... და მე ახლა ვიხილე მისი სახე ცოცხლად აღბეჭდილი.

გრ. ორბელიანი მეტად საინტერესო პიროვნება უნდა ყოფილიყო. მე აშკარად წარმომიდგება მთელი მისი ტრაგედია, რომელსაც თავისი ტიტანიური სახე ჩვენ წინ მცირედის მასშტაბით (ორიოდ ლექსით) გარდაუშლია.

და ის, რაც უნდა ეთქვა და ვერა სთქვა მან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვითხრა, ნიკოლაძის მიერ ასახულმა, ორბელიანის ზღვა თვალებმა. ზვიადად და მძიმედ ზის ფაფარ აყრილი ლომი თვის ტახტზე... ძველ საქართველოს ერთგული შვილი მის დარღვეულ სახეს ნაღვლიანად გასცქერის. იგი გრძნობს, რომ სამშობლოს ახალი დრო უდგება, რომ მისი აღდგენა „ორბელიანებს“ აღარ ძალ-უძთ, გრძნობს თვის მოზღვავებულ ენერგიის ზედმეტობას და ბრაზით ევსება გული. იგი თვისი მწუხარე, მაგრამ ამაყის სახით, ცეცხლოვან ცრემლის ნაგუბებ თვალებით გვეუბნება, რომ მადის უნაყოფოდ, უშედეგოდ და ვერ შველის, მამა-პაპისებრ, თვის დარბეულ მამულს. სამშობლომ უარყო მისი გზა. და ლომი კვდება მაშინ, როცა სასიცოცხლო უშრეტი ძალა ღრმად ბუდობს მასში რაინდობის მიმქრალ დროს დასტირის იგი, მაგრამ იგივე რაინდობა მას ნებას არ აძლევს ლაჩრულად ცრემლებს გზა მისცეს. და თითქოს გული მისი გაზრდილა, გაგანიერებულა ამ დაგუბებულ ურუ სევდით. სადღაც დაუსრულებელ სივრცისკენ გასცქერის მისი თვალები და იქ სამშობლოს მიმქრალი დიდება ეხატება.

საინტერესოა კიდევ ერთი რამ. მოდელს რამდენიმე სხვაც ათვალიერებდა ჩემთან ერთად და თვითეული მათგანი სცდილობდა ეპოვნა შესაფერისი ადგილი მოწყვეტილ ხმლისათვის, რომელიც მგოსნის ფეხებთან ეგდო. ვერ მიეგნოთ, სად მიეყუდებინათ იგი, რომ უფრო მოხდენოდა მოდელს. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, ან როგორ ფიქრობს თვით მოქანდაკე ამ „მოწყვეტილ ხმლი“-ს შესახებ, მაგრამ მარტო იმან, რომ იგი ხმალი მის ფეხებთან ეგდო და მგოსანს ხელში წიგნი ეპყრა, მარტო ის, რომ ამ ხმლისთვის ადგილი ვერ მოენახა, აშკარად შლის ორბელიანის ტრაგედიას. იგი გვეუბნება, რომ ორბელიანი გარდასულ საქართველოს უძლიერესი შვილია, რომელსაც თვისი რაინდული ასპარეზი დაუხშეს, ხმალ-იარაღი აჰყარეს და ცოცხალი სიკვდილს განუმზადეს. მოკვდა ფეოდალური საქართველო, წავიდა ხმლის დროც და ახალ საქართველოს „ორბელიანები“ ვერ მიიღებენ ისე, როგორც ახალი საქართველო ვერ დაიტევს მათ ..დღეს ჩვენ ახალი სახის გმირობა გვჭირია და ამ გმირობას „ორბელიანობა“ ვერ გასწევს. დაჭრილი ლომიც ამას გრძნობს, დროს მსვლელობით ხმალი მოწყვეტია, უყურადღებოდ დაუგდია და ამაყ ნაღველით შორს გასცქერის ძველ დარღვეულ დიდებას ..

**აკაკი პაპავა**

## „ილოცე, დენის, ილოცე“!

შუა დღე იყო, როდესაც საუნივერსიტეტო ანატომიის თეატრის მსახური, ოთხმოცის წლის მოხუცი, დენისი შევიდა თავის ოთახში. აქ კუთხეში მოსვენებული იყო რამდენიმე ხატი; მათ წინ ეკიდა წითელი კანდელი, რომელშიაც, ვინ იცის როდის, ბოლო მოლებიყო ზეთს და სიბნელეში გაეხვია იგინი. ეს სიბნელე ხატებ წინ არ ესიამოვნა დენის პეტროვიჩს, როგორც უძახოდა მას ანატომიის პროფესორი ნიშნად პატივის ცემისა. მაშინათვე აღუდგა გონებაში მეცნიერის სიტყვები: „ილსენ სული, დენის, ილოცე“! საჩქაროდ აავსო კანდელი ზეთით, დაანთო, გულმხურვალედ გადიწერა პირჯვარი, ჩამოჯდა აქვე სკამზე და შეუმჩნევლად მიეცა ფიქრებს.

მას თვალ წინ ცოცხლად წარმოუდგა სურათი შორეულ წარსულისა: ჯერ ისევ შუა ხნის ვაჟკაცი იყო, როდესაც დენისს არა სწამდა არც ხატი, არც ჯვარი. ადამიანის ლეში, რომელსაც ჰხედავდა ირგვლივ დიდის ხნის განმავლობაში, გარდაიქცა მისთვის სულ უბრალო საგნად. სწორედ ამ დროის ერთს დილას თეატრის შესავალში ნახეს გრძნობა-მიხდილი დენისი. გზა შესავლამდის მთლად მოფენილი იყო მისი თმებით. მოაბრუნეს, და ამის შემდეგ დენისმა უამბო პროფესორს შემდეგი:

— ოდნავ შექეიფიანებული ვიყავი, როდესაც დავბრუნდი თეატრში. მივედი მიცვალებულებთან, ავაყენე და ახლა მათთან ერთად მოვყევი ქეიფს. დასაწყისში მიცვალებულნი სვამდნენ, როგორც რიგია, შემდეგში კი უჩვენეს ერთმანეთს თვალით, მომცვივდნენ და უწყალოდ გამწეწეს; ამას ხომ თმებიც ამტკიცებენ, — სთქვა დენისმა და თითით უჩვენა პროფესორს მოფენილი თმებით გზა.

— ღმერთს გაუცია შენთვის პასუხი ადამიანის დაცინვისათვის; — აუხსნა დენისს გაკვირვებულმა პროფესორმა მომხდარი ამბავი — ილსენ სული, დენის, ილოცე ამის შემდეგ მაინცა!

მივიდა თუ არა დენისი ამ სიტყვებამდის, გამოერკვია ფიქრს, წამოდგა ფეხზე, მოწიწებით გადიწერა ხელ-ახლად პირჯვარი და გამოვიდა თავის ოთახიდან ბუტ-ბუტით:

— „ილოცე, დენის, ილოცე“!

**დავ. კილოსანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალო საწყალო...

რისთვის მოხვედი ამ ქალაქში, ქალო საწყალო,—
რომ მის ბაღებში ვით უაზრომ შენ იწანწალო?
ან თუ სხვა გრძნობამ მოგიხიბლა ის ნორჩი გული,
დღეს რომ თან დაგაქვს დასერილი, დაწყლულებული?!
რომელ ოცნების ტალღას მოჰყევ, თქვი თუ ლა გახსოვს?
სად შეეყარე სულ პირველად შენს „კეთილის მყოფს“?
პირველი ცრემლი სად დაეცა?—იქნებ ქვაფენილს,
სად მოგაფურთხეს ცხოვრებისგან მთლად გადათელილს?..
იფიქრე მაინც, რად წაგერთვა ხმა ნამდვილ ქალის,
ნაცვლად რად გერგო შენ სახელი დღეს მაწანწალის?!

**მ. ველისციხელი**

# რას უქადის ხელოვნებას მომავალი

აქამდის მხოლოდ შემოქმედების გარეშე არსებულ პირობებს ვეხებოდით, გადავიდეთ ხელოვანის შინაგან არსებაზე. შიშობენ, დროთა ვითარებაში მეცნიერულად განვითარებული გონება ხელოვანს დაუხშობს შემოქმედების სამ უმთავრეს ნიჭიერებას: წარმოდგენას (воображеніе), შემოქმედებითი ინსტინქტს და გრძნობასო. აქ უკვე წმინდა ფსიხოლოგიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე. ამბობენ, იდუმალობას მოკლებული პოეზია შეუძლებელია (შელლინგი, შტრაუსი, ვაგნერი); უცრუმორწმუნეობით არ არსებობს ნამდვილი პოეზიაო (გიოტე); პოეტს არ შეუძლია განყენებული მექანიკური კანონებით განმარტოს ნახულიო; ერთბაშად ხილული უსაიდუმლოდ ვერ მიიზიდავს პოეტის გულისყურსო. ბინდი, მთვარე და საერთოდ ბუნების სხვა იდუმალობით მოცული მოვლენა თუ უეცრივ აიხსნა პოეტის წინაშე, მაშინ ადგილი აღარ ექნება პოეზიასო. თუ „ერთგვარი“ წინადადებით მიმართავ პატიოსან მანდილოსანს და მოხარული ხარ, როდესაც მისგან ჟიუტობასა და მიუკარებლობას იხილავ, ეგრედვე იხარის პოეტი, როდესაც ბუნება ძნელად გამჭვირვალე სახურავით მოსავს თვის მიმზიდველ მოვლენებსო. მაგრამ „პოეზია მეცნიერებასთან ერთად ამხსნელია ქვეყნისა, ხოლო ახსნა მეცნიერული ვერ გადმოგვცემს ფარულ აზრს და მნიშვნელობას საგნისას; ეს მხოლოდ პოეტურ განმარტებას ძალუძს, რადგან მეცნიერნი მიჰმართვენ მხოლოდ განსაზღვრულ ნიჭიერებათ და მხედველობაში არა ჰყავთ სრულიად ადამიანი... ადამიანის გული კი უაღრესი ნაწილია ქვეყნისა და მისა და გარეშე საგანთა შორის უნდა აუცილებლად არსებობდეს ჰარმონია; ხოლო პოეტი, რომელიც შეიმცნობს ამ ჰარმონიას, არა ნაკლებ მეცნიერისა უახლოვდება სინამდვილეს“ (მ. არნოლდი). რაც უნდა ფართო განმარტება მოგვცეს მეცნიერებამ ბუნების მოვლენებისა, იგინი არასოდეს დაჰკარგვენ თვის მომხიბვლელ და მიმზიდველ თვისებათ. ცნობილი ასტრონომი ფლამარიონი ერთ თვის შრომაში ამბობს:*) „როდესაც უცქერით დიდებულ ცისიერ სანახაობათ, ჩვენ არ ძალგვიძს რაიმე ცუდი საქმის ჩადენა და არ გვესმის, თუ როგორ შეუძლიათ ჭკვიან არსებათ ერთი-მეორის ჟლეტა და წამება სარწმუნოებრივი განსხვავებისა და ტომთა ურთი-ერთ შორის სიძულვილის გამო“. და რაოდენ უფრო ახლოს შეიმცნობს პოეტის ნაზი მხატვრული ალღო ამ სიდიადეს! შეიმცნობს და ჩვენც გვიზიარებს მას! გარდა ამისა, მისწრაფება „იდუმალსა და უცნობისადმი“ ყველა ადამიანშია ღრმად ჩანერგილი. არსებობს ქვეყანა მეტაფიზიკური, განუჭვრეტელ საიდუმლოებით მოცული—(საკითხები სულის უკვდავებისა, ღვთაებისა და სიცოცხლის დანიშნულების შესახებ), სადაც უძლურია მეცნიერული კვლევა-ძიება და სადაც განსხვავებულად მეტყველებს მხატვრული შემოქმედება... ნამდვილი მხატვარი თვით მეცნიერულ კანონებშიაც იპოვნის პოეზიისათვის საჭირო საკვებს. უდიდესი მეცნიერნი: დარვინი, ჟორჟუა-სენტ-ილერი, პოეტი გიოტე თითქოს კიდეც ამართლებდნენ ბერძნების და ინდოელების ლეგენდებს მეტამორფოზისა და ცოცხალ არსება-

*) იხ. „Звѣздное небо“, შესავალი.

თა ცვლილების შესახებ. ბუნებასთან ადამიანის რაღაც ნათესაური დამოკიდებულება საუცხოვოდ გადმოგვცეს ინდოეთის დიდებულმა პოეტებმა; ინდოეთის ერთ ეპოპეიაში ასეთ ძვირფას შედარებას იპოვით: „შეხედე ამ მოქნილ სუროს! იგი სიყვარულით მოხვევია ხის ძალოვან ღეროს, ისე, როგორც შენ, ძვირფასო სიტა, მოქანცულობის დროს დაეყრდნობი ჩემს მხარსო“.

საერთოდ არავითარი საბუთი არა გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მეცნიერულად განვითარებული გონება ხელს შეუწყობს ხელოვნების დაქვეითებას, რადგან ადამიანის სულიერი ცხოვრების განვითარება სულ სხვას გვიმტკიცებს.

ის გარემოება, რომ მე-16-ე საუკუნის გაუნათლებელ ინგლისში შექსპირი დაიბადა და დღეს კი შექსპირები აღარა გვყავს, სრულიადაც არ ამტკიცებს ზემოდ გამოთქმულ ეჭვის საფუძვლიანობას. შექსპირის დროის ინგლისში ის წრე, რომელშიაც შესაძლებელი იყო შექსპირის წარმოშობა, ვსთქვათ ასი-ათასობით განისაზღვრებოდა, დღეს კი მილიონობით. და ამ მილიონთა სიცოცხლე უკვე გამსჭვალულია ცხოვრების იმ შეგნებით, რომელიც დიდებულმა მწერალმა გვიანდერძა. ეს შეგნება კი ხელოვნების იმ ცოცხალ ძაფთა მიერ შეკინძული ცხოვრებაა, რომელსაც ვერ დაჩრდილავს ვერც მეცნიერება და ვერც ხელოვნება. ხოლო შექსპირის მიერ შექმნილ დიდებულ ნაწარმოებთა შეგნებული გავრცელება ეს იმ ნიადაგის შემზადებაა, რომელშიაც ვითარდება მხატვრული მსოფლმხედველობა და რომელიც სარწმუნო თავდებია ახალ მხატვრულ ღირებულებათა მოვლენებისა.*)

**ალ. წერეთელი**

# ცხოვრება

(იხ. „თ. და ც.“ № 25)

## III

იგინივე, **სესია.**

**გიორ.** (რა შეამჩნევს შემოსულს სესიას) გამარჯობა სესია.

**სეს.** გამარჯვება ნუ მოაკლოს წმინდა გივარგიმ ჩვენს ნათლია მაიასა და ექიმს გივარგისა.

**მაია.** აქეთ დაჯექი, ჩემო სესია. ჯალაბობა ხომ კარგადა გყავს?

**სეს.** კარგადა, შენი კვნესამე.

**გიორ.** ხაბარი! რისთვის გარჯილხარ.

**სეს.** რისთვისა, შენი კვნესამე, და უნდა ვამხილო შენი ძმა.

**მაია.** ვანო?..

**სეს.** ვანეი, შენი კვნესამე! ჩვენს ქალებში უზნეოდ უჭირავს თავი; ჩვენს ვაჟებს ეს არ მოსწონთ და მეშინის სისხლი დაიღვრების, შენი კვნესამე, ი ნუნუს ამბავიც აშფოთებს; თუ არ შენი პატივი...

**გიორ.** კარგი, კარგი, ჩემო სესი, ხვალიდან ის აქ აღარ იქნება... დიდედაჩემო! მოუმზადევით ყოველივე, ის ხვალ წავა... (ვანოს დიდინი მოისმის რიგოლეტოს კილოზე) აგერ... მე წავალ, დიდედო, ემანდ საფოსტო სადგურზე, შენ კი მოელაპარაკე ვანოსა...

**სეს.** შვიდობით, ნათლია, შენი კვნესამე. (გავლენ)

## IV

**მაია, ვანო**

**მაია.** (თვალს გააყოლებს გიორგის) ვაი, შენ, ჩემო თავო?!. დალუპულო ოჯახო!.. ერთი, ვისგანაც იმედი მქონდა აქ ცხოვრებისა, სხვის საბუდარზე ზის .. მეორე...

**ვანო.** რამ დაგაღონა, დიდედაჩემო!.. ცხოვრებაში დასაღონი არა არის რა. ხომ გაგიგონია: (დამღერის) სანამ ცოცხალ ვარ ვიხარებ, ვახარებ ჩემსა იასა, მოვკვდები გაუხარდება სამარის კარსა ჭიასა...“ ეს არის ჩვენი ცხოვრება! ადამიანმა რაც შეიძლება, ცხოვრებაში უნდა გაიხაროს და მოჭამოს ისე, რომ სანატრელი არა დარჩეს რა.

**მაია** სწყვიტოს ვარდი! დასუნთქოს,

---

*) **შეცდომის გასწორება**: გასული კვირის (25) ნომერში ამ წერილის ბოლოდან მესამე პწკარში დაბეჭდილია: „ფასი იქნება“, უნდა იყოს—„ეს იქნება‘, და სხ.



**ივ. სარაჯიშვილი**

(გადარჩენილი. იხ. „თ. და ც." № 24)

ათი წელი—სულ ერთს ვმღერი,
მძულს ახალი, მიყვარს ძველი!..



**ნიკო გოცირიძე**

...„ჩორთ იამუ ზნაი!.. ვისაც სცენაზე სიარული და ხმის ამოღება ვასწავლეთ, ყველა დიდ თრიათში გაიქცა!.. მოდი და ვირი ტალახიდან ამოიყვანე!..

დამჭკნარ-დასუნთქული მოისროლოს ვით უვარგისი...

**ვანო.** მაშა, დიდედაჩემო! ვარდი იმისთვის იშლება, რომ ვყნოსოთ და. .

**მაია.** უსირცხვილო! როგორც ნუნუ განა?! ის არა კმარა და... არა, როდემდის, როდემდის უნდა არცხვინო შენი ოჯახი? როდემდის უნდა აძრწუნო მამის საფლავი?!.

**ვანო.** მოიცა, მოიცა დიდედაჩემო! შენ რატომ ეგრე მოუკრეფავებში დასდიხარ?..

**მაია.** (გაჯავრებით) ხმა, შე უნამუსო!..

**ვანო.** (მოდრეკილი) კარგია, კარგი, დიდედაჩემო!.. აბა, რას ჯავრობ?..

**მაია.** იცი მაგ უნამუსობით რა მოგივა? არ გეყო ერთი ცოდვა?!. საბრალო ნუნუ თავის მოწამვლამდე მიიყვანე...

**ვანო.** ღმერთმანი, დიდედაჩემო!.... ღმერთს გეფიცები...

**მაია.** ხმა! ღმერთს რა ხელი აქვს შენს საქმესთანა, რომ იხსენიებ? განა გრწამს, რომ ღმერთს ფიცულობ?!

**ვანო.** ღმერთმანი, დიდედა-ჩემო! გეფიცები...

**V**

იგივე, **გიორგი.**

**გიორ.** (მკაცრად ვანოზე) რა იყო, დიდედაჩემო, რას გეფიცება?

**მაია.** ძალიანაც-კი სწამს ამისმა სიცო ხლემა...

**გიორ.** ჩვენ თუმც დედით სხვა, მამით მაინც ძმანი ვართ და უნდა ვგვანდეთ ერთმანეთს რამეში თუ არა?

**ვანო.** ხშირად ღვიძლი ძმანიც არ ემსგავსებიან ცხოვრებაში ერთმანეთს.

**გიორ.** ჰო, მაგრამ მამისა უნდა გამოგყოლოდა რამე თუ არა ცხოვრებაში?

**მაია** ეგ ზედ გამოჭრილი დედაა...

**გიორ.** მოითმინე, დიდედაჩემო!.. შარშან,—მე არ ვამბობ რამდენად დამნაშავე ხარ საბრალო ნუნუსთანა, ეგ შენმა სინიდისმა ზღოს,—ისეთი საქმე დაგემართა, რომ ორივე კარგათა ვგრძნობთ, რა ჩირქი მოგვეცხო...

**ვანო.** თუ დანაშაულობაა, მე უნდა მომეცხოს ის ჩირქი, შენ აქ რა შუაში ხარ?

**მაია.** ოჯახს, რომ ჩირქი მოეცხო?!.

**გიორ.** შენ, ვანო როგორც გინდა, ისე უყურე პირადათ შენს ღირსებას... ხოლო, როდესაც შეეხება ჩვენს საერთო ოჯახს, რომელიც მამამ წმინდად, უმწიკვლოდ, შეუბღალავად დაგვიტოვა; იმ მამამ, რომელსაც მე წმინდათა ვსახავ ჩემს ხსოვნაში, ნებას არ მოგცემ შენის მოქმედებით შებღალო და მით ჩემს პატიოსნებასა და სიამაყეს ჩირქი მოსცხო.

**ვანო.** მაინც არ მესმის, მე თუ ცუდს რასმე ვჩადივარ, შე რა განაღვლებს?

**გიორ.** დღეს სოფელში ის აზრი ტრიალებს, რომ ნუნუმ შენის მიზეზით მოიწამლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შუა თაობის მსახიობნი**

ზევიდან: 1, შალვა დადიანი, 2, დავ. აწყურელი (გამყრელიძე), 3, ალ. არაბიძე და 4, ვ. ბალანჩივაძე.

---

თავი, იმისი დედ-მამა, მისი მოკეთენი, მათი მეზობელნი ამაში დარწმუნებულნი არიან, თუმცა ხელთ ამის საბუთი არ აქვთ, მაგრამ სოფლის ხმა—ხმაა ერისა. ამაში მეც დამნაშავედა მთვლიან ვით ძმასა და შენზე უფროსსა.

**ვანო** (მხრების აჩეჩვით) მე ..

**გიორ**. არას გვეუბნებიან, მაგრამ გვერიდებიან; ჩვენს ოჯახს დაცინვით იხსენიებენ: „სწავლული ოჯახიაო“. ნუნუს მოკეთენი გვერდს უხვევენ ჩვენს ოჯახს და ზიზღით იხსენიებენ, ვით არა წმინდასა. სასოფლო საქმიანობის დროს პირდაპირ მაგონებენ: „ძნელია ნდობა სწავლულებისაო“...

**ვანო**. არ ვიცი, ღმერთმანი! ჩემი ბრალია რომ მას ვუყვარდი? მეც... მეც ადამიანი ვარ...

**მაია**. ადამიანი კი არა—მხეცი!..

**გიორ**. მოითმინეთ, დიდედაჩემო! შენ რო საბუთი არ მიგეცა, ის გულშიაც ვერ გაიტარებდა.. და სწორედ ამიტომ მართალნი არიან მისი მოკეთენი, რომ ამბობენ: „თუ თავი შააყვარა—უნდა შაერთო კიდეცაო“..

**ვანო**. ჰა, ჰა, ჰა, ეგღა მაკლდა...

**გიორ**. როგორ! . აზნაურს, მასთან ნასწავლს, განა?!? მერე დაგავიწყდება, რომ კეთილშობილება და განათლება თვითვე უნდა დაიცვას და მის ღირსებას არა წასცხოვა! ვინ უნდა დააფასოს შენი კეთილშობილება და განათლება, თუ არ ხალხმა?.. თუ გგონია, გლეხი ქალის შერთვით ღირსება ჩამომერთმევაო, რატომ მაშინ არ ითვალისწინებდი, როცა ეარშიყებოდი რატომ არ ფიქრობდი შენს დამცირებაზე მაშინ, როდესაც გლეხის ქალს ნუნუს ეალერსებოდი?... სად არის შენი სიამაყე, შენი სიდიადე, შენი ზიზღი, როდესაც შენი ვნებათაღელვა, მხეცური სურვილი...

**ვანო** (გააწყვეტინებს) ეს ხომ თანდაყოლილი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა...

**გიორ**. მაგრამ ბუნებამ თან გონებაც მოგვცა...

**მაია**. დაანებე თავი, შვილო გიორგი! იმას, რომელსაც ქალის უმანკოება ყნოსვის სანაცვლოდ მიაჩნია, განა შაასმენ რასმეს? მე და გიორგიმ გადავწყვიტეთ კიდეც და ხვალვე წახვალ. .

**ვანო**. ძალიან კარგი! მე მაინც ვაპირებდი. რა თქმა უნდა...

**გიორ**. რაც საჭიროა, იმასაც მოგცემ.

**ვანო**. აი, ეგ ყველაზე უკეთესი...

## VI

**ვანო, კონა.**

**კონა** (შემოდის ხელში ყვავილების კონით)

**ვანო**. აა, კონა!.. აი, ყვავილთა კონაა დასაყნოსი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კონა.** უკაცრავად, შენთვის არ გახლავს...

**ვანო.** მაშ, ვისთვის?.. იქნება გიორგისათვის?..

**კონა.** გრცხვენოდეს...

**ვანო.** მაშ, ჩემთვის .. მე მაინც ხვალ მივდივარ...

**კონა.** გზა!.. (ვანო ჩამოეცლება, კონა შედის სახლში) მე...

**ვანო.** აი, ნამდვილი ველური...

## VII

**ვანო, დათია**

**დათია.** (რა შემოვა და ვანო არ ამჩნევს, კომბალს დააკრავს)

**ვანო** (მოიხედება) შენ, დათია?!.

**დათ.** მე, აბაი, ვინ იქნებოდა...

**ვანო.** რა გინდა? ჩემი ძმა ხომ არ გინდა?

**დათ.** აბაი, შენი ძმა რაში მენდომების, მე შენ მინდიხარ...

**ვანო.** მე გინდივარ? მერე რა საქმე გაქვს..

**დათ.** რაიცა მინდა — განა შენა არა იცი?

**ვანო.** არა, არ ვიცი?..

**დათ.** ეხლავე უნდა გამომიძღვე

**ვანო.** გამოგიძღვე? მერე სად?

**დათ.** სანინოშია, სასაფლაოზე.

**ვანო.** მერე და სასაფლაოზე რა მინდა?

**დათ.** ნუნუს სასაფლაოზედა.

**ვანო.** ნუნუს სასაფლაოზედ?.. მერე იქ რა მინდა?..

**დათ.** იქ მე და შენ გავსწორდებით.

**ვანო.** რა მაქვს შენთან გასასწორებელი? მე შენი არა მმართებს რა...

**დათ.** ნუნუი ჩემი დანიშნულია... ვინც იგი მოატყუა, პასუხიც უნდა მიგოს...

**ვანო.** ღმერთს გეფიცები მე არ მომიტყუებია...

**დათ.** (გაკვირვებული) აბაი, შენი ჭირიმე, ღმერთო! ღმერთსა ფიცულობს...

**ვანო.** კიდევ გეფიცები...

**დათ.** შენ რომ ღმერთი გეწამა, ნუნუს წაბილწამდი?

**ვანო.** როგორ მიბედავ?!

**დათ.** კნავილი კატის საქმეა... თუ ვაჟი ხარ, უნდა წამომყვე და გამისწორდე.

**ვანო.** ვისა? შენ, ვიღაც ველურს? შეცხვარეს?!.

**დათ.** ვაი, ბეჩავ ჩვენს ცხოვრებას...

## VIII

იგინივე, **გიორგი.**

**გიორ.** (გამოვა, რა შეამჩნევს დათიას) დათია?!. აქ რას აკეთებ? ცხვარი ვიღას დაუტოვე?

**დათ.** ცხორსა, შენი კვნესამე, ძაღლები მაინც უდგანან... მგლებს ისინი იგერიებენ... ხოლო ჩვენი ქალების ნამუსსა-ღა ნასწავლნი არად აგდებენ, შენი კვნესამე!..ჩვენ შეცხვარეები როს ვიცავთ, ველურებად გვიხსენიებენ...

**გიორ.** (ვანოს მკაცრად შეხედავს) რა იყო, რა მოხდა?!.

**დათ.** (პატარა ხნის შემდეგ) აი, შენი კვნესამე, რა მოხდა... შარშან ქვემოურმა მურდალმა ჩვენაური ქალაი მოიტაცა... ქალაი ახმაურდა, რა ვაჟი არაი უყვარდა, და მე გამოვტაცე: ქვემოური ვაჟი დავჭერი.. ამაზე, შენი კვნესამე, ჩინოვნიკებმა სამი თვე ციხე გადამიწყვიტეს...ამას ვეუბნებოდი, შენი კვნესამე, შენს ძმასა: რუსებმა ესეთი კანონი რათ შემოიტანესთქო, და ამისათვის ველური მიწოდა...მაგრამ კიდევ შევხვდები, შენი კვნესამე, და შენ-კი აღარ შეგაწუხებ...

## IX

**გიორგი, ვანო.**

**გიორ.** (რა გავა დათია) გესმის?!. როგორ გგონია, რომელია ველური: ეგა თუ შენ?!. (მოისმის საყვირის ხმა დილიჟანისა) დილიჟანი...

## X

**მაია, კონა, გიორგი, ვანო, კატო, კონდუქტორი და ორი ბიჭი**

**კატო.** აქა სდგას გიორგი გაშენაძე ექიმი?..

**გიორ.** (გავა) აქა, აქა...

**კატო.** (შემოიჭრება) გამარჯობა...

**გიორ.** (ხელზე ჰკოცნის) გაგიმარჯოს კატო!..

**კატო.** თუ კატოს მეძახი... ვგონებ კოცნის ღირსიცა ვარ, მაგრამ მესმის... ჯერ ხომ ჩვენ... აბა გაშაცანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორ.** ჩემი დიდედა; ეს მისი ნათლული კონა...

**ვანო.** (რა არ გააცნობს გიორგი და კატო კი შეხედავს) მე.. ვანოი გაშენაძე...

**გიორ.** ჩემი ძმა..

**კატო.** მომწონს... აი, გიორგი, ეს შენზე გაბედულია.. ჰო, მართლა, სწორედ გითხრა, გიორგი ძალიან, ნასიამოვნები ვარ ამ გზითა, ეს მთები არწივად მხდის..

**მაია.** არწივმა, შვილო, ფრთა გაშალა, მით მზე დაჩრდილა... წარსული დაუბნელდათ; და მომავალიც დაუსნეულდათ...

**კატო.** და მერე ვისა, დიდედო!

**მაია.** ვის მხარესაც მზე დაიჩრდილა ..

**ვანო.** იქ საჭიროა ელექტრონის შეტანა...

**კატო.** რომ სინათლე მოეფინოს.

**გიორ.** მისი სინათლე თვალსა სჭრის და მხედველობას ასნეულებს.

**მაია.** ელექტრონი, შვილო, ჩემს თვალებს არ უხილია. მაგრამ სინათლე-კი საჭიროა (მკაცრად შეხედავს ვანოს), რომ გამომზევდეს...

**გიორ.** აი, კატო! იქონიე მხედველობაში, რომ დიდედაჩემი ჩვენი ოჯახის ბურჯია..

**კატო.** სასიამოვნოა!.. მე საშინლად მომწონან...

**მაია.** ბურჯი, ხოლო ძირ-მომპალი, რასაც გამოცვლა სჭირია... აი, ემ ჩემს გიორგის ვეუბნები: ისეთი რძალი მომგვარე, რომელიც ოჯახს ახალ ბურჯად შაედგმის და შიგ მომავალ გმირებს აღმიზრდის...

**კატო.** მე მართლაც მომწონან: ლამაზი, ჯან-სალი ბამშვები... აი, როგორებიც...

**ვანო.** აქ დაზრდილები არიან...

**კატო.** (ვერ მიუხვდება, გიორგი-კი ვანოს უკმაყოფილოდ შეხედავს) მართლაც, ყველა სიცოცხლით სავსენი არიან.

**მაია.** ეგ მშობლებზეა დამოკიდებული... ნათქვამია შვილო: „ერთგული კრუხი არც ერთს გააციებსო..."

## XI

იგინივე, **სესია**.

**სესია.** არიქა, გიორგი, შენი კვნესამე! მოეხმარე დაჭრილებს..

**მაია.** ვინ დაჭრილებს...

**გიორ.** რა მოხდა! ვინ დასჭრეს?...

**სესია.** ცხორს იტაცებდნენ... მეცხვარეები დაიჭრნენ...

**კატო.** ვინ იტაცებდა, მგელი?..

**გიორ.** მტერი დაგეცათ?

**სესია.** მტერი, შენი კვნესამე. მტერი! კეთილი მდომი, აბა რას გვერჩის...

**გიორ.** ბევრია დაჭრილი?

**სესია.** ოთხი ჩვენია...

**გიორ.** დიდედო, ჩანთა! კონა ქუდი!.. იმათ მხრივ?..

**სესია.** ერთია, შენი კვნესამე...

**გიორ.** ნაცვალს შეატყობინეთ?

**სესია.** შევატყობინეთ, აბაი რას ვიზემდით... მაგრამა რა გამოვა... თუ არ შენა, შენი კვნესამე, პრისტავი მაინც ჩვენ დაგვდებს ბრალსა...

**გიორ.** დიდედა-ჩემო აბა შენ იცი... წავიდეთ სესია...

**მაია.** გზა მშვიდობისა, შვილო!.. არხეინად იყავი...

**ფარდა**

[signature]

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ლადო აღნიაშვილი

(იხ. „თ. და ც." № 25)

დადგა სექტემბერი. სკოლაში სწავლა დაიწყო. საერთო საქმემ, ერთად შრომამ და ერთმანეთის ხასიათის გაცნობამ თანდათან ყველანი უფრო დაგვაახლოვა—ისე დაგვაახლოვა, რომ ნასადილევსაც-კი ერთმანეთის უნახაობას ველარ ვიტანდით. იშვიათი საღამო იქნებოდა, რომ ყველას „ჩვენ ნიკოსთან" თავი არ მოგვეყარა და პატარა პანსიონერები არ დაგვეთვალიერებინა (მაშინ მხოლოდ დაბალი კლასები იყო). მაგრამ კაცი თითქმის გადაჭრით ვერ იტყვის—რა უფრო მეტად გვიზიდავდა: ნიკო ლომოურის მომხიბლავი დამოკიდებულება, ჩვენთვის ახალი საქმე თუ ერთმანეთისადმი ძმური განწყობილება. მთელი ატმოსფერა სკოლაში ისეთი

იდგა, ჩემის შეხედულობით, რომ ყველა ჩვენთაგანში იწვევდა ერთნაირს გრძნობას, ერთნაირს ფიქრს, ერთნაირს აღფრთოვანებას და ხალისს შრომისას და მეცადინეობისას არა მარტო სკოლის ზღუდეთა შორის, არამედ მათ გარეშეც.

მაგრამ მეტად განსხვავებული და თავისებური იყო აღფრთოვანება ახალგაზდა ლადო აღნიაშვილისა.

— ყმაწვილებო, თუ მოიცლით, საღამოხან ჩემკენ შემოისეირეთ,—გვეტყოდა ხოლმე ამხანაგებს განსვენებული ლადო ნამეტანის მოწიწებით და თავაზიანობით,—თითო ჭიქა ჩაის მოგართმევთ და ერთ მცირე რაზედმე გესაუბრებით: თქვენი აზრი მინდა შევიტყო ერთ საგანზე.

ჩვენც ხშირად ვუსრულებდით სურვილს. ვიკრიბებოდით მის ბინაზე და ვუსმენდით საუბარს. გაოცებული ვიყავით მის ფანტაზიით. მის ლაპარაკს მუდამ ოპტიმისტური ელფერი ჰქონდა; საზოგადო საქმე სათაყვანებელ კერპად ჰქონდა გამხდარი; კერძო ინტერესი, საკუთარი ჭირ-ვარამი მისთვის არ არსებობდა. ქართული სკოლა, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, ქართული ისტორია, ქართული გალობა-სიმღერა, ხალხური ზეპირ-სიტყვიერება, ქართული დაწესებულებანი—აი ის საგნები, რომელთა ფარგალშიც ტრიალებდა მუდამ მისი ფანტაზია და მსჯელობა.

ყოველ საქმეს ფანატიკურის გატაცებით ეპყრობოდა; არ იცოდა, რას ჰქვიან დაბრკოლება. თუ რასმე განიზრახავდა, კიდეც სისრულეში მოიყვანდა. არც ერთს საქმისთვის არ ჰზოგავდა თავის ჯიბეს, თუმცა არას დროს საკმარისი ჯამაგირი არ ჰქონია. მისის აზრით ქართველ ბავშვებს ესაჭიროებოდათ რუსული ენის შესასწავლად ადვილი სახელმძღვანელო; ამიტომ შეადგინა და გამოსცა („Первый шагъ«). მან თითქმის პირველმა მიაქცია ყურადღება ქართულ ხალხურ ზეპირ სიტყვიერების ნაწარმოებთა შეგროვებას. ამისთვის დაბეჭდა გაზეთებში მოწოდება სოფლის ინტელიგენციისადმი, რომელსაც სთხოვდა ჩაეწერა და მოეწოდებინა ხალხში გაგონილი ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, ლეგენდები და სხ. რისთვისაც ჰპირდებოდა ფულით დაჯილდოებას. ამ მოწოდების და ხარჯის გაღების ნაყოფია მის-მიერ გამოცემული ჩინებული „ზღაპრების კრებული". მანვე განიზრახა „ანბანის" სახელით გამოეცა ქართველ ბავშვთათვის ოჯახსა და სკოლაში სახმარებელი ენციკლოპედია პატარ-პატარა წიგნაკებად რიცხვით იმდონი, რამდონიც ქართულ ანბანში ასოა. შეუდგა და ერთი მესამედი წიგნაკებისა მშვენივრად დასურათებული, საუკეთესო ქაღალდზედ დაბეჭდილი კიდეც გამოსცა, მაგრამ, საუბედუროდ, შრომის დამთავრება აღარ დასცალდა.

**ალ. მირიანაშვილი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# მზრუნავი ღვთაება

(ესკიზი)

ცის კამარა პირქუშობდა... ანჩხლობდა... კაპასობდა...

ჩაკუპრულ-ჩაშავებულ ღრუბლებისაგან პირბადე გაეკეთებინა და ერთი მბჟუტავი ვარსკვლავიც-კი არ გამოეშო, არ გამოეკრთო დედამიწის გასანათებლად, გასახარებლად.

ცის თაღს პირი უკან გაებრუნებინა, თითქოს მოსწყინდა დედამიწის ყურის გდება და ლოლიაობაო, და რაც ძალ-ღონე შესწევდა, ილტვოდა მისგან.

დედამიწაზე ბნელოდა... წყვდიადი და უკუნეთი გამეფებულიყო... ყველგან ჯანყი... ბურუსი...

ბოროტს ღმერთს, ქვესკნელთან ერთად, ეს ქვეყანაც დარჩენოდა და ახლა იგი მოურიდებლად დაჰპატრონებოდა მას, რადგანაც მოწინააღმდეგეს და რაყიფს არავისა ჰხედავდა.

—ხა... ხა... ხა... ხა... ადამიანო... ადამიანო...—ხითხითებდა გულ-საკლავად, გულის დამსერ-დამღრღნელად არიმანი და ბოროტნი სულნი, მონანი მისნი, მიწაზე ხოხვით, გველის სისინით, ბანს ეუბნებოდნენ.

დღესასწაულობდა ჯოჯოხეთი... ქვეყანა და მასთან ერთად ადამის ძე მის ტლანქსა და მოუხეშავს კლანჭებში იყო.

ქვესკნელი ზეიმს იხდიდა...

მაღლა, ცაში, კიდევ ორმუზდს სამფლობელო ტახტი უკუღმა დაედგა, ზურგი დედამიწისათვის შაექცია და უფრო იქით... მაღლა,

ზევით გაიყურებოდა და სცდილობდა კაეშანი ცის ეთერში გაექარვებინა. .

დადარდიანებულიყო მწყალობელი და მის სამფლობელოთ ქმუნვასა და ურვას წაელო.

მზეს და მთვარეს ნიშან-წყალი დაჰკარგოდათ და იქვე კუთხეში მიმქრალ-მილულულიყვნენ.

აპოლონის ქნარს სიმები დასწყვეტოდა.

ორმუზდის სახე, ღიმილის ნაცვლად, მოღუშულ-დანაოჭებულიყო. ის დედამიწისათვის აღარ ჰფიქრობდა...

ეტყობოდა, მთლად დავიწყებოდა ძირს ქვეყანა და იქ მცხოვრები—ადამიშვილი!..

—ოჰ!.. ადამიანო... ადამისა ძევ!...

მოსთქვამდა ორმუზდი და ანგელოზ-ფერიები მკვნესარ ხმებს აქანავებდნენ, ამუსიკებდნენ.

ადამიანმა გაარისხა ორმუზდი.

მან გასტეხა ღვთაებრივი სიყვარული, მან დაჰგმო კეთილი ღმერთი. მან სული ანაცვალა ხორცს...

ამისთვისაც გაავთრებულ-გაცეცხლებულიყო კეთილი ღვთაება და ადამის შვილი წყვდიადში დაეტოვებინა, სიბნელით მოეცვა მისი საცხოვრებელი, მისი ქვეყანა ..

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ბოროტებასაც მალე დაესვა ადამიანთათვის თვის მფლობელობის დაღი: გამქრალიყო ქრისტეს მცნება, დამარხულიყო სიყვარულ-სიხარული...

ადამიანის გული ცივი იყო ვით საფლავი...

არიმანს ყველაფერი დაესუნთქ-დაეშხამა, ყველაფერი დაეშანთ-დაეღარა.

ანტიქრისტე ფარფაშობდა ამ ქვეყანაზე...

შურით, მტრობით, ანგარებით, სიძვით და უსამართლობით გაჟღენთილიყო ადამის შვილი.

ყველგან სისხლი .. კვნესა. . გოდება დ ვარამი. .

ყველგან წყვდიადი გულშესაზარი...

. . . . . . . . . . . . . . . . . .

მაგრამ დროთა სრბოლამ თვისი გაიტანა...

გავიდა ხანი და ადამიანიც გამოიცვალა ორმუზდიც მობილდა... კაეშანი და ქმუნვა გაუქარწყლდა. .

ჯერ ცის ტატნობიდან მზე ამოაცურა, მთვარე გასათხოვარ ლამაზ ქალივით გაიბადრა. . გამოკრთნენ მოციალე ვარსკვლავნი, ხომლი თვის ალაგას გამოციმციმდა, ცაზე სამოთხის გზა ნათლად გამოიხატა, აჟღერდა აპოლონის ქნარი სიყვარულის ჰანგებზე; ვენერამ ციგლიგი შეჰქმნა, ბუნებამ პირზე ღიმი მოიკიდა.

მოიხედა ორმუზდმა დედამიწისაკენ და სახე გაეშალა, გაეშალა, მაგრამ კი აღარ გაბრწყინვებია, ვინაიდან ადამიანში ბოროტის სულის ბატონობის ნაშთი დაინახა: მას გულში საზიზღარი მატლი ჩასახოდა, რომელიც აქეზებდა ყოველ ბოროტებისა და საზიზღრობის ჩასადენად.

ორმუზდმა არ ისასოწარკვეთილა, სასოების ნაპერწკალი გაალვივა, რომლის ნაყოფიც დედამიწაზე არიმანის სახელის მთლიანი აღგვა და ადამის ძის გაბრწყინვება და განსპეტაკება იყო.

მაგრამ ადამის შვილი წმინდად მაინც ვერ განსპეტაკებულა, მატლი მატლად დარჩა და მისმა კერძმაც თვალი ვერასგზით ვერ გაახილა.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

მართალია, ორმუზდის ნაწილნი ხშირად ევლინებოდნენ ადამიანს განსაწმინდავებლად, მაგრამ ათასში ერთი წმინდად გაბრწყინვებული თუ აჰყვებოდა მათ ზეითკენა და ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი-კი ნავთ-ცეცხლში ცვიოდა...

ამის შემდეგ ორმუზდმა გონება მოიხმარა: გაანათლა ადამის ძე გარეგნულად, ისე რომ მატლი თავის აჩრდილად-ღა აქცია და ესე გარეგნულად განსპეტაკებული თვის მონაწილე აიტაცა ზევით, ცაში, თვის სამფლობელოში

...და მხოლოდ ამით მიაღწია თვის მიანს...

შავი დედამიწა კი ისევ შავს ღმერთს დაულოც-დაუნარჩუნა.

**არჩილ მექანარიშვილი**

# დედის მკვლელი

(მოთხრობა)

ზაფხულის მშვენიერი ღამე ერთ წამს საშინლად მოპირქუშდა: ცაზე შავი მუქის ოდენა ღრუბელი ბუმბერაზად გადაიქცა და, სივრცეში გაფანტულმა ისეთნაირად ჩამოაღამა, რომ თვალში მიტანილ თითს ვერ დაინახავდით. უცებ ასტყდა საზარელი ქექაქუხილი, წამოვიდა კოკისპირული წვიმა და ნიაღვარმა მთელი არე-მარე წალეკა. პატარა რუ-არხები დიდ მდინარეებად იქცნენ და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქო წარღვნააო, ერთის ხმაურობით და შხუილ-ხუილით იწყეს დენა. ამ არეულ და საშინელ ღამეში, დაკვირვებით თუ მიაპყრობდით ყურს, სოფელ მ--რის შესახვევთან, ორღობეში, თქვენ გაიგონებდით რ-ღაც უცნაურს და გულის დამაღონებელ ხმას, რომელიც პირველად კაცის ხმას მოგაგონებდათ, მაგრამ კარგად რო დაჰკვირვებით, მიხვდებოდით, რომ ეს ხმა ძაღლის ხმა იყო. ძაღლი ორღობეში მდებარე დედა-კაცის უსულო ცივ გვამს ჰგლოვობდა თვალზე ცრემლმორეული და გულ-შემძრწუნებელ ღამეს უფრო ასაზარლებდა თავის ყმუილით.

ვისა გლოვობდა ძაღლი?

——

ხევის ჩავარდნილი სიღრმეში, სადაც საშინელ წყვდიადს თვალი ძლივს ჩასწვდებოდა, ყაჩაღთა ბრბოს კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულში ბინა ჰქონდა აჩენილი: აქ იმალებოდნენ ისინი დღისით, აქ მოილაპარაკებდნენ ხოლმე, ვის სად დახვედროდნენ, რა მხრით დასცემოდნენ, რა დროს და როგორ. აქა სწყდებოდა ბევრი სვე-ბედნიერის სიცვდილ-სიცოცხლე. აქ მოჰქონდათ ნაძარცვ-წანართმევი. აქ იყოფდნენ და ინახავდნენ.



ღამე იყო. გამოქვაბულში ერთ ადგილს, საიდანაც სინათლე გარედ ვერ გავიდოდა, ჭრაქი იდგა და მკრთლად ბჟუტავდა' ჭრაქს აქეთ-იქეთ შემოსხდომოდნენ ყაჩაღები, თოფიარაღში გამოწყობილნი და გამოქვაბულის შემოსავლისკენ იცქირებოდნენ ეტყობოდა, ვიღაცას ელოდნენ, მაგრამ გარედან ჭექა-ქ ხილისა და წვიმის შხაპუნის მეტი არა ისმოდა-რა. ამასთანკიდევ მათ თვალებს ჰქვის ციაგი სჭრიდა, რომელიც ყოველ გაელვებაზე საშინელ სურათს გამოსახავდა, თითქო შემოსავალთან მათ შესაპყრობად სდგანანო, მაგრამ ეს უკანასკნელი მათ არ აშინებდა, რადგან ამას შეჩვეოდნენ და მტრის პასუხის მისაცემად ყოველთვის მზად იყვნენ. გარედ თითქმის შუაღამემდის იწვიმა, მაგრამ ბოლოს გამოიდარა; ცამ შავი ღრუბელი გადიყარა და დედა-მიწას მოქათქათე ვარსკვლავებით საამურად დააჩერდა.

— ამხანაგებო, წვიმამ გადიღო.—სთქვა გარედან შემობრუნებულმა ყაჩაღმა და ნაბადი მოიძრო.

—დალოცოს ღმერთმა. ეხლა ნაბადი ცუდი სახმარია. გზებში დიდი ტალახი იქნება და რა ოხრად გვინდა. სიარულს დაგვიშლის.—წარმოსთქვა მეორემ.

— ეს კია. მაგრამ ეს კაცი რომ არა სჩანს, რა დაემართა?—სთქვა რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ მესამემ და ბელადს გადახედა, რომელიც თავის მოხდენილის და გონიერის სახით ჩაფიქრებული მიმოდიოდა. თითქო იმათ ხმის ამოღებას ელოდაო, ბელადმა მიმართა.

—ამხანაგებო!—სთქვა, თოფს დაებჯინა, ამხანაგებს თვალი გადაავლო და განაგრძო: ჩვენი ახალი ამხანაგი საეჭვოა. მართალია, ერთი კვირა სრულდება, რაც შემოგვიერთდა, მაგრამ აგრე მოკლე ხანში კაცის აწონ-დაწონა შეუძლებელია ის უფრო მაფიქრებს, რომ იგი თავის პირველ ამხანაგებს ჩამოშორდა და ჩვენ შემოგვიერთდა იმავე აღთქმით, როგორც მათ ეკუთვნოდა. ესეც რომ არ იყოს, თუ ის სანდო კაცია, ამაღამ პირველად მოდიოდა ჩვენთან სამოქმედოდ და აქამდის სად არის? როგორც გვითხრა სოფრომამ აგერ მეხუთე წელია მოუსვენარ ცხოვრებაშია თურმე. ჩვენი ხელობის სუსტი ხასიათის კაცს ხშირად სწყინდება ასეთი ცხოვრება, გაურბის მას, და შორდება. მაგრამ არა შეუცოდებლად, არამედ ამხანაგების გაცემით ცდილობს თავისი პირადი ბედნიერების მოწყობას. ასეთი რამ განზრახვა რომ არა ჰქონდეს სოფრომას, არც აქამდე დაიგვიანებდა

—წვიმა შეუშლიდა ხელს!—მიუგო მეორემ.

—ჩვენი ხელობის კაცი არა თუ წვიმამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ჯოჯოხეთმაც არ უნდა დააბრკოლოს: მღელვარე ზღვის ტალღები უნდა გადალახოს და ამხანაგებისათვის მიცემული სიტყვა-კი შეასრულოს. განა არ გაგიგიათ რამდენმა ამხანაგმა უღალატა პირვანდელ მიზანს და მტრებს მიუდგა? რა იცით, რომ ეგეც ერთი მათგანი არ არის? წარმოსთქვა ბელადმა და მღელვარება დაეტყო.

— შენი იჭვი არც ტყუილია. სოფრომა ამ დღეებში ძალიან მოუსვენრად დადიოდა, სულ ფიქრობდა, გარინდებული იყო. გუშინ ვკითხე, რათა ხარ მოწყენილი მეთქი. მითხრა: სანამ დედას არ ვნახავ, ვერ მოვისვენებო. ამ საღამოს ვითომ დედის სანახავად წავიდა —უთხრა ბელადს მესამემ.

— მერე იცით-კი, რომ დედა ჰყავს და აქაურია?-გააწყვეტინა სიტყვა მესამე ყაჩაღს ბელადმა და სხვებს გადახედა.

— არ ვიცით, არა...-შესძახეს ერთ ხმად ყველამ და საშინელმა იჭვმა შეიპყრო.

ყაჩაღები ამ საღამოს ვილაცას უნდა დასხმოდნენ თავს, მაგრამ ამხანაგის მოუსვლელობამ და და იჭვმა ისე შეაკრთო ისინი, რომ გადასწყვიტეს გამოქვაბულს განშორებოდნენ და განზრახვაზე ხელი აეღოთ, რათა ხიფათს ასცდენოდნენ.

— გავიდეთ, გავიდეთ, სანამ თავს დაგვესხმოდნენ!-წარმოსთქვა კარის მცველმა. ყველანი დაიძრენ.

— აბა მოიმარჯვეთ თოფები და გამოდით! ფრთხილად! თუ ვინიცობაა გაცემული ვართ, იგრე ნუ დავიხოცებით, რომ გამცემსაც არ გადავუხადოთ სამაგიერო! —შესძახა ბრძანების ხმით ბელადმა. ისინიც ერთ თვალის დახამხამებაში გამოვიდნენ გამოქვაბულიდან და მიიმალენ ტყეში.

(შემდეგი იქნება)

ევ. ფურცხვანიძე

# კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი თბილისში



27 აგვისტოს „ახალ კლუბში“ გამართულ სიმფონიურ კონცერტში, თითქოს შემთხვევით, გამორეული იყო სამი ნუმერი ჩვენი მშობლიური მუსიკისა. სეზონის დასაწყისში მამასახლისებს განზრახვა ჰქონდათ სერიოზულად დაეყენებიათ კონცერტების საქმე და ჩვენს საზოგადოებაში გაეღვიძებინათ სიყვარული, გაეადვილებინათ გაცნობა მშობლიური მუსიკისა, მაგრამ ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებთ სულ რაღაც შემთხვევითი ხასიათი ეძლეოდა. საჭირო-კი არის, ღვთის წინაშე, ქართველები ეჩვევოდნენ თვის მშობლიურ ჰანგების შეთვისებას. მუსიკალური ცოდნა და წვრთნა ჩვენს საზოგადოებას აკლია, რომ, როგორც მცოდნემ, შეაფასოს ნაწარმოები და თუ გრძნობაც არ გაიწვრთნა, იგი მხარს ვერ მისცემს და წინ ვერ წასწევს მშობლიურ მუსიკას, რადგანაც ის მისთვის უცნობია. ჩემი აზრით, ამით აიხსნება ის უცნაური მოვლენა, რომ ჩვენს მუსიკას და იმ „სუსტს“ ნაწარმოებთაც, რომელნიც ჯერ-ჯერობით მოგვეძევება, უცხონი უფრო მეტის ინტერესით ექცევიან და მოსწონთ, ვიდრე ჩვენ. ამიტომ ფრიად სასიამოვნო იყო იმ სამიოდე ნუმრის მოსმენა "ახალ კლუბში“ 27 ამ თვეს.

რაც შეეხება თვით ასრულებულ ნაწარმოებთ, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ რომ შეგვეძლოს ღრმა, აზრიან მუსიკას ჩავწვდეთ და კომპოზიტორის განცდანი განვიცადოთ, ჩვენ რომ ის საშინელი სენი არა გვჭირდეს, რომელიც „საკუთარის“ უარყოფაში, აბუჩად აგდებასა და გაქირდვაში მდგომარეობს, ფოცხვერაშვილის კონცერტზე ასრულებულნი ნაწარმოებნი ფრიად საყურადღებო და ჩვენთვის სასიქადულო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ბალანჩივაძეს „დავლური“ და ლეკური“ ოპ. „თამარ ცბიერიდან“ ლამაზად და ნაზად შემუშავებული ნაწარმოებია; თავისუფლად და მარტივად გადმოცემულია სული ამ ცეკვისა და ყოველ ქართველს გულში ხვდება, რადგანაც ყველასთვის გასაგებია. რაც შეეხება ფოცხვერაშვილის „საღვთო როკვას“, მისივე ოპერა „კერპთა დამხობიდან“, იგი უკვე, ასე ვსთქვათ, იდეური. აზრიანი მუსიკაა; იგი არ არის მსუბუქ და ლამაზ ბგერათა ხლართული, არამედ კომპოზიტორი მუსიკის საშუალებით სცდილობს გადმოგვცეს ერთგვარი იდეა, აზრი. იგი ამოღებულია ოპერიდან, მაგრამ ამ ჟამად თვით ოპერას ჩვენ ვერ შევეხებით, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოებში ცხადად ტრიალებს უძველესი წინაპრების, წარმართობის დროინდელი სული. ცხადად დასახულია კერპის წინაშე განუვითარებელი წარმართის შიში და სასოება, მწუხარება და სიხარული, თხოვნა და მოთხოვნა. აქ ავტორს ისიც კი განუზრახავს დაგვიმტკიცოს, რომ ჩვენი თანამედროვე ჰანგები და ეროვნული ცეკვა-თამაშიც იმ უძველეს დროს არიან ჩასახულნი: აქა-იქ მართლადაც, ამ აზრის გამოსათქმელად სმენას თითქოს ნაცნობი ჰანგები ხვდება. აქ ჩვენი გონების თვალის წინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდგას მთელი თვისი მწუხარება-სიხარულით ჩვენი უძველესი წინაპარი ლოცვად. ამავე აზრს, ამავე იდეას გამოხატავს „ფინალიც“ კერპის დამხობისა. აქაც ავტორს აღებული აქვს ის მომენტი, როდესაც ორი რწმენა, რწმენა წარმართისა და ღმობიერი რწმენა ქრისტიანისა ერთმანეთს შეეტაკნენ. გონებრივი ან ზნეობრივი და სულიერი გარდაქმნა ადამიანისათვის ხომ ერთი უძლიერესი ტრაგიული განცდაა და ადამიანში ამ მომენტით დიდი რევოლიუცია ხდება. ჩვენი ერის ფანტაზიამ ხომ წმინდა ნინოს ცხოვრებაში ჩააქსოვა ეს მომენტი და გადმოგვცა, რომ ჭექა-ქუხილისა და მეხისაგან დაინგრნენ ძველი კერპები, და, აი, ჩვენი კომპოზიტორიც დასწვდა ამ თქმულებას, გადმოგვცა მუსიკაში ეს ჭექა-ქუხილი, ეს ტრაგიზმი ადამიანის სულისა, რომელსაც ემსხვრევა ძველი კერპები, სიდიადე იმ მომენტისა, როდესაც ძველის ნანგრევებზე ახალი რწმენა ინერგება და ამიტომცაა ყოველი ფრაზა ამ ფინალისა ასეთი ცვალებადი, მწუხარება-სიხარულის, ვაებისა და სასოების გამომხატველი. ბოლოს ადამიანი გადაიტარებს რა ამ ნგრევა-შენების რევოლიუციონურ ქარიშხალს, ამ აღტყინებულს ხმებს დასძლევს სათნო და ნაზი ჰანგები, ქრისტიანული ღმობიერებით განბანილი. დიდხანს ებრძვიან ერთმანეთს წარმართული საღვთო როკვისა და ქრისტიანული, სახარების მოტივები და დაინგრევიან რა კერპნი, გამარჯვებული გამოდის ქრისტიანული მოტივი, მაგრამ იგი გამარჯვებით არ ამაყობს და ისევ აუღელვებლად სასოებას და სათნოებას გულში გვინერგავს.

არ ვიცი, დამსწრე საზოგადოებას მოეწონა თუ არა; ტაში ბევრი იყო, გამეორებასაც კი ითხოვდნენ, მაგრამ მაინც არ ვიცი მოეწონათ თუ არა, რადგანაც ყველაფერი „ჩვენის“ შესახებ ჩვენ მაშინვე საზვერავ, სასტიკი კრიტიკოსის პოზიციას მივიღებთ ხოლმე და თითქოს ვამბობთ: რაც უნდა კარგი იყოს, მაინც არ მოვიწონებ, არა და არაო და უბრალო „ტრეპაკას“ კი აღტაცებით ვეგებებით, რადგანაც ამ მოტივს ვიცნობთ და ის გვიხარია, რომ მუსიკაში ნაცნობი ხმები გავიგონეთ. ჩვენს მშობლიურს ჰანგებს კი ჩვენ ვერ ვიცნობთ, ვერც ვიგონებთ და აღარც გვაკმაყოფილებს...

**სა-ნი**

P. S. როგორც გავიგეთ, ზოგიერთებს უნდათ ბ. კ. ფოცხვერაშვილის სთხოვონ—აქაც გაიმეოროს ის სასულიერო კონცერტი, რომელმაც მთელი პეტროგრადი ამას წინად აღტაცებაში მოიყვანა. დიდად სასურველი იქნება, თუ ეს მართლაც მოხერხდა.

**სა-ნი**

—

**რედაქციისგან**: 1) ამ ნომრისთვის მომზადებული წერილი „ეროვნული საკითხი რუსეთის საზოგადოებაში“ ს. და-ნისა, მომავალ კვირას დაიბეჭდება; 2) „სიმახინჯე, როგორც სახე მე-19 საუკ. ქართველისა დღევანდლამდე“, ვახ. კოტეტიშვილის, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ჯერჯერობით ვერ იბეჭდება.

# წვრილი ამბები

**ქართ. დრამ. დასი** შეიკრიბა გასულ ორშაბათს, 25 აგვ. ქართ. თეატრში. კრებას დაესწრო დრ. საზ. მდივანი, იგივე თეატრის დირექტორი ი. გედევანიშვილი, რომელმაც მოკლედ აუხსნა მომავალ მუშაობის გეგმა, მსახიობთ მუყაითი შრომისკენ მოუწოდა, მასთან ზოგიერთი სავალდებულო წესები გააცნო. დასი სრულად გამოცხადდა.

**დრამ. გამგეობა და დასი თავ. პ. ი. თუმანიშვილის** თანადასწრებით პირველად შეიკრიბა სამშაბათს, 26 აგვ. ქარ. თეატრში.

**ქართ. დასმა** მეცადინეობა დაიწყო 28 აგვ.

**ქუთაისიდან ვ. გუნიამ** დეპეშა მიიღო 5 ენკენისთვისთვის გამოცხადდით მსახიობნი სამეცადინეოთ.

**ქართველმა დასმა** უკვე წაიკითხა პიესები „იორიოს ასული“ დ'ანუნციოსი და „ავგაროზი“ შ. შარაშიძისა ავტორის თანადასწრებით.

**ქართ. მსახიობთა კრება შესდგა** ქართ. თეატრში ოთხშაბათს, 27 აგვ. რეჟისორის მ. ქორელის თავმჯდომარეობით. დასმა აირჩია პრეზიდიუმი (ეფ. მესხი, ალ. იმედაშვილი და ერთერთი რეჟისორი, მათ კანდიდატებად პ. კორიშელი, ა. ლოლუა, მდივნად გ. ფრონისპირელი). ამათ ევალებათ მსახიობთა შინაურ საერთო საქმეთა წარმოება. კრებამ დაადგინა მსახიობთა ჯამაგირიდან ერთი პროცენტი გადასდონ ომიანობის გამო დაზარალებულთა სასარგებლოდ, რაიც გადაეცემა თავ.-აზნ. თავოსნობით შემდგარ კომიტეტს.

**მოძრავი დასის შედგენა** განუზრახავთ სამსახურ გარეშე დარჩენილ მსახიობთ დაბა-სოფლებში წარმოდგენების გასამართავად.

**დუშეთის წ. კ. ს. განყოფილების** პირველი საზოგადო კრება შესდგება მომავალ კვირას, რომელზედაც, სხვათა შორის, განიხილვენ—დუშეთის დრამ. წრე. წ. კ. ს. შეუერთონ თუ არა?

**საგაზაფხულო საღამო გაიმართა** დუშეთის საკრებულო დარბაზში 18 აგვ. ქ-ნ ივ. იაშვილისა და ბ-ნ ალ. ინაშვილის თაოსნობით. წარმოადგინეს საყმ. პიესა „ყვავილთა შორის“, თარ. ლ. ბოცვაძისა, წაიკითხეს ლექსები, ქართ. ქალთა გუნდმა ბ-ნ გ. გელაშვილის ლოტბარობით იმღერა ქართ. სიმღერები. დიდძალი საზოგადოება დაესწრო. შემოსავლიდან 40 მ. ქ. შ. წ. განყ. ვადასცეს, 5 მ. ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტს.—სასურველია ასეთი საღამოები ხშირად იმართებოდეს.

**სახალხო სახლში** ამ მოკლე ხანში დაიწყებენ წარმოდგენებს.

**ბაქოს დასის რეჟისორი** შალვა დადიანი და მსახიობქალი ელ. ანდრონიკაშვილი სოფლიდან დაბრუნდენ და ამ დღეებში ბაქოს გაემგზავრებიან.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**



(წ.—25)

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

**სანატორიუმი**

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ლამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

# ექიმები:

**ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათ.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ. ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ. ფ. ნათიშვილი**

კანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іосифу Имедашвили.

(10—4)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—4)

**იმერეთი** ყოველდღიური სალიტ.-სალ. გაზეთი

ახალ რედაქციით და თანამშრომლებით

**გაზეთის ფასი:** წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით—4 აბაზი, ცალკე ნომერი 5 კაპ.

საზღვარ გარედ წლიურად 15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

**მისამართი:** Кутаисъ, ред. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჟღენტი**

**შრომა** სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома“

„სორაპანი“-ს გამოცემა

**დაიბეჭდა და გამოვიდა** ქართველი მწერლები

**შედგენილი ი. გომელაურის მიერ**, წიგ. I

ფასი 80 კ.

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11 – 79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 31 აგვისტოს | სინემატოგრაფი, მუსიკ[illegible]ია |
| ორშაბათს 1 სექტემბერს | სინემატოგრაფი. |
| სამშაბათს 2 სექტემბერს | სინემატოგრაფი, მუსიკა. |
| ოთხშაბათს 3 სექტემბერს | საზანდარ[illegible] |
| ხუთშაბათს 4 სექტემბერს | საზავ[illegible] საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა. |
| პარასკევს 5 სექტემბერს | საზანდარი; ცეკვა. |
| შაბათს 6 სექტემბერს | სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა. |
| კვირას 7 სექტემბერს | სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა. |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები — 25 კ., ქალები — 10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი**.

სტამბა „სორაპანი"

Типографія „Сорапань"